

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება № 2

2011 წლის 10 თებერვალი

ქ. თბილისი

შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 2¹, 3¹ და მე-10 პუნქტების შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი;

ბ) (ამოღებულია - 19.02.13 №7);

გ) (ამოღებულია - 16.03.12 №1);

დ) (ამოღებულია - 16.03.12 №1);

ე) (ამოღებულია - 19.02.13 №7);

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 16 მარტის ბრძანება №1 - ვებგვერდი, 16.03.2012 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 1 ნოემბრის ბრძანება №13 - ვებგვერდი, 01.11.2012 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 19 თებერვლის ბრძანება №7 - ვებგვერდი, 20.02.2013 წ.

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ტ. ურჯუმელაშვილი

შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი“ (შემდგომში – წესი) შემუშავებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) მე-9 მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 2¹, 3¹ და მე-10 პუნქტების საფუძველზე.

2. წესის მიზანია სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციისა და მონიტორინგის უზრუნველყოფა. წესი გამოიყენება გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის, ელექტრონული ტენდერის, კონსოლიდირებული ტენდერის და კონკურსის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შემთხვევებში.

[მუხლი 1. წესის მიზანი

„შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი“ (შემდგომში – წესი) შემუშავებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) შესაბამისად და მისი მიზანია სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის ანგარიშგების რეგლამენტაცია და მონიტორინგი. (ამოქმედდეს 2017 წლის 19 ივლისიდან)].

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 16 მარტის ბრძანება №1 - ვებგვერდი, 16.03.2012 წ.
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 19 ივნისის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 22.06.2017 წ.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. წესის მიზნებისთვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა (შემდგომში – სისტემა) – სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის ოფიციალური პორტალი <https://tenders.procurement.gov.ge>, რომელიც უზრუნველყოფს ღია, გამჭვირვალე და კონკურენტუნარიან გარემოს სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში მონაწილე ნებისმიერი პირისათვის. სისტემის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო);

[ა) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა (შემდგომში – სისტემა) – სახელმწიფო შესყიდვების ოფიციალური პორტალი <https://tenders.procurement.gov.ge>, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებას ღია, გამჭვირვალე და კონკურენტულ გარემოში; (ამოქმედდეს 2017 წლის 19 ივლისიდან)].

ბ) ანგარიშგება – ანგარიშგების მიზნით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სააგენტოსთვის ამ წესით გათვალისწინებული ინფორმაციის წარდგენა;



ბ) ანგარიშგება – ანგარიშგების მიზნით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის (შემდგომში – სააგენტო) ამ წესით გათვალისწინებული ინფორმაციის წარდგენა; (ამოქმედდეს 2017 წლის 19 ივლისიდან).

გ) (ამოღებულია - 16.03.12 №1);

დ) (ამოღებულია - 16.03.12 №1);

ე) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება – გამარტივებული შესყიდვის, კონკურსის, კონსოლიდირებული ტენდერის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან/და ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულება/მასთან გათანაბრებული დოკუმენტი (შემდგომში – ხელშეკრულება);

ე) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (შემდგომში – ხელშეკრულება) – გამარტივებული შესყიდვის, ელექტრონული ტენდერის, კონკურსისა და კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების შედეგად მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულება/მასთან გათანაბრებული დოკუმენტი. (ამოქმედდეს 2017 წლის 19 ივლისიდან).

ე¹) ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე ანგარიში – შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ კანონისა და ამ წესის შესაბამისად სააგენტოსათვის ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე დადგენილი წესით წარდგენილი ინფორმაცია;

ე²) ხელშეკრულების სტატუსი – შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის ქმედების შედეგად სისტემის მეშვეობით ხელშეკრულებისთვის მინიჭებული ამ პუნქტის „ე³–„ე⁵“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სტატუსი, რომელიც ასახავს ხელშეკრულების მიმდინარეობის კონკრეტულ ეტაპს;

ე²) ხელშეკრულების სტატუსი – შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის ქმედების შედეგად ან სისტემის მეშვეობით ხელშეკრულებისთვის მინიჭებული ამ პუნქტის „ე³–„ე⁵“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სტატუსი, რომელიც ასახავს ხელშეკრულების მიმდინარეობის კონკრეტულ ეტაპს; (ამოქმედდეს 2017 წლის 19 ივლისიდან).

ე³) მიმდინარე ხელშეკრულება – ხელშეკრულების სტატუსი, რომელიც ასახავს ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობას. ხელშეკრულებას, ტენდერის/კონკურსის შემთხვევაში, ეს სტატუსი სისტემის მეშვეობით ენიჭება ავტომატურად, მას შემდეგ, რაც ტენდერს/კონკურსს მიენიჭება სტატუსი „ხელშეკრულება დადებულია“, ხოლო გამარტივებული შესყიდვისა და კონსოლიდირებული ტენდერის შემთხვევაში – მას შემდეგ, რაც ხელშეკრულება აიტვირთება სისტემის CMR მოდულში;

ე⁴) შესრულებული ხელშეკრულება – ხელშეკრულების სტატუსი, რომელიც ხელშეკრულებას ენიჭება მას შემდეგ, რაც სისტემის/სისტემის CMR მოდულის შესაბამის ველში, დადგენილი წესით, აიტვირთება ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და აისახება ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაცია;

ე⁴) შესრულებული ხელშეკრულება – ხელშეკრულების სტატუსი, რომელიც ხელშეკრულებას ენიჭება შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, მას შემდეგ, რაც სისტემის/სისტემის CMR მოდულის შესაბამის ველში აიტვირთება ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და აისახება საბოლოო ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაცია; (ამოქმედდეს 2017 წლის 19 ივლისიდან).

ე⁵) შეუსრულებელი ხელშეკრულება – ხელშეკრულების სტატუსი, რომელიც ხელშეკრულებას ენიჭება მას შემდეგ, რაც სისტემის/სისტემის CMR მოდულის შესაბამის ველში, დადგენილი წესით, აიტვირთება ხელშეკრულების შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და აისახება ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე⁵) შეუსრულებელი ხელშეკრულება – ხელშეკრულების სტატუსი, რომელიც ხელშეკრულებას ენიჭება შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, მას შემდეგ, რაც სისტემის/სისტემის CMR მოდულის შესაბამის ველში აიტვირთება ხელშეკრულების შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და აისახება საბოლოო ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში); (ამოქმედდეს 2017 წლის 19 ივლისიდან).

ე⁶) ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია – ნებისმიერი დოკუმენტი/კორესპონდენცია, რაც დაკავშირებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან/შეუსრულებლობასთან (მათ შორის, მიღება-ჩაბარების აქტი, ზედნადები, ანგარიშფაქტურა, ხელშეკრულების კონტროლზე პასუხისმგებელი პირის დასკვნა, ფოტოსურათი და სხვა.);

ე⁶) ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია – ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებასთან/შეუსრულებლობასთან (მათ შორის, მიღება-ჩაბარების აქტი, ზედნადები, ანგარიშფაქტურა, ხელშეკრულების კონტროლზე პასუხისმგებელი პირის დასკვნა, ექსპერტიზის დასკვნა, კორესპონდენცია, ფოტოსურათი და სხვა.); (ამოქმედდეს 2017 წლის 19 ივლისიდან).

ვ) ინსპექტირება – შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შერჩეული პირის ან პირთა ჯგუფის ქმედებათა ერთობლიობა, რომელიც უკავშირდება ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობას;



ზ) კლასიფიკატორი – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის №7 ბრძანებით დამტკიცებული „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესით“ (შემდგომში – შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესი) დადგენილი კლასიფიკატორი;

თ) სისტემის რეგისტრირებული მომხმარებელი – შემსყიდველი ორგანიზაცია ან მიმწოდებელი, რომელმაც დადგენილი წესით გაიარა სისტემაში რეგისტრაცია (შემდგომში – რეგისტრირებული მომხმარებელი);

ი) სისტემის “ ePLAN ” მოდული – სისტემაში სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის (შემდგომში – გეგმა) შექმნისათვის და სააგენტოსათვის წარსადგენად არსებული მოდული (შემდგომში – ePLAN). გეგმის სააგენტოში წარდგენად ჩაითვლება მისი რეგისტრაცია ePLAN-ში ;

კ) სისტემის “CMR” მოდული – ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ანგარიშის წარდგენისათვის სისტემაში განსაზღვრული მოდული (შემდგომში – CMR). აღნიშნული ანგარიშის წარდგენად ჩაითვლება CMR-ში მისი რეგისტრაცია ან/და დამატება.

2. წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც კანონსა და მის საფუძველზე გამოცემულ სააგენტოს თავმჯდომარის სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ სხვა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 13 ივნისის ბრძანება №14 - ვებგვერდი, 16.06.2011 წ. კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 16 მარტის ბრძანება №1 - ვებგვერდი, 16.03.2012 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 21 აგვისტოს ბრძანება №7 - ვებგვერდი, 22.08.2012 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 1 ნოემბრის ბრძანება №13 - ვებგვერდი, 01.11.2012 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 17 იანვრის ბრძანება №2 - ვებგვერდი, 18.01.2013 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 19 თებერვლის ბრძანება №7 - ვებგვერდი, 20.02.2013 წ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 2 ივლისის ბრძანება №10 - ვებგვერდი, 03.07.2015 წ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის ბრძანება №18 - ვებგვერდი, 30.10.2015 წ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 19 ივნისის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 22.06.2017 წ.

მუხლი 3. კოორდინაცია და ზედამხედველობა

1. სახელმწიფო შესყიდვების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციასა და ზედამხედველობას ახორციელებს სააგენტო. სააგენტო ახორციელებს ზედამხედველობას შესყიდვების პროცესში ისეთი პრინციპების დაცვაზე, როგორცაა საჯაროობა, სამართლიანობა და არადისკრიმინაციულობა, დადგენილი პროცედურების ზუსტად შესრულება და ანგარიშგება, ღია და ეფექტიანი კონკურენციის უზრუნველყოფა, რაციონალური და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა.

2. კოორდინაციისა და ზედამხედველობის მიზნით სააგენტო უფლებამოსილია:

ა) საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესებისა და ნორმების დარღვევის ან/და მათი არასწორი გამოყენების შემთხვევაში, მიუთითოს ამ ფაქტებზე შემსყიდველ ორგანიზაციას და მოითხოვოს მისგან არასწორი გადაწყვეტილებებისა და ქმედებების დადგენილ წესებთან და ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა;

ბ) საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესებისა და ნორმების დარღვევის, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას სახელმწიფოსათვის ზარალის მიყენების, თანამდებობის პირთა მიერ თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში, მიაწოდოს ინფორმაცია შესაბამისად უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებს და დააყენოს მათ წინაშე შესაბამის პირთა ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი;

გ) განსაზღვროს ის აუცილებელი პირობები, რომელსაც უნდა შეიცავდეს ხელშეკრულება;

დ) შესყიდვების განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას, მიმწოდებელს ან/და პრეტენდენტს შესყიდვებთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი და ინფორმაცია, ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ჩათვლით.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების მიზნით, სისტემის მეშვეობით სააგენტოსათვის წარდგენილი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი რეგისტრირებული მომხმარებლისათვის ამ წესის თავისებურებათა გათვალისწინებით .

4. სააგენტო უზრუნველყოფს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სააგენტოსათვის ამ წესის შესაბამისად წარდგენილი ინფორმაციის სისტემაში შენახვას წარდგენიდან არანაკლებ 3 წლის ვადით.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 16 მარტის ბრძანება №1 - ვებგვერდი, 16.03.2012 წ.

მუხლი 4. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა



1. შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს ახორციელებს მხოლოდ წინასწარ დამტკიცებული და ამ წესის მიხედვით რეგისტრირებული გეგმის შესაბამისად, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვისა. გეგმის რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს ePLAN-ში შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ამ მუხლის მე-3 ან/და 3² პუნქტებით დადგენილ ვადაში. გეგმის ნებისმიერი პარამეტრის ცვლილება ხორციელდება ePLAN-ში, ამ წესით დადგენილი მოთხოვნების მიხედვით.

1¹. გეგმის დამტკიცების წესი და ფორმა განისაზღვრება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ. ePLAN-ში გეგმის რეგისტრაციისათვის შემსყიდველი ორგანიზაცია განსაზღვრავს უფლებამოსილ პირს, რომელიც რეგისტრირდება სისტემაში. სისტემაში რეგისტრაციისას გეგმა არ საჭიროებს შესაბამისად უფლებამოსილი პირის ხელმოწერას.

2. (ამოღებულია - 19.02.13 №7).

3. მომდევნო წლის გეგმას შემსყიდველი ორგანიზაცია არეგისტრირებს არა უგვიანეს მიმდინარე წლის 20 ნოემბრისა, რის შემდეგაც შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია დაიწყოს მომდევნო წლისათვის/წლებისათვის აუცილებელი სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ შესაბამისი ნორმატიული აქტის ამოქმედებამდე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“–, ა.დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სახსრებით სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი პირების გეგმა უნდა შეესაბამებოდეს გეგმის რეგისტრაციის მომენტისათვის შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოში წარდგენილ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების პროექტებს ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტს.

3¹. თუ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ შესაბამისი ნორმატიული აქტის ამოქმედების შედეგად აუცილებელი გახდება მასთან ამ მუხლის საფუძველზე სააგენტოსთვის წარდგენილი გეგმის შესაბამისობაში მოყვანა, კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“–, ა.დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სახსრებით სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელმა პირებმა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ შესაბამისი ნორმატიული აქტის გამოქვეყნებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში უნდა უზრუნველყონ შესაბამისი ცვლილებების შეტანა გეგმაში და შეცვლილი გეგმის სააგენტოსთვის წარდგენა ამ მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

3². თუ შემსყიდველი ორგანიზაცია იქმნება (ფუნდდება) ან იღებს დამატებითი დაფინანსების წყაროს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ და „ა.ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სახსრებიდან, გეგმას არეგისტრირებს ePLAN-ში ამ წესის მიხედვით, შექმნის (დაფუნდების) ან ამ დამატებითი დაფინანსების მიღებისთვის მომდევნო თვის არა უგვიანეს 20 რიცხვისა.

4. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“–, ა.დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სახსრებით, გეგმა უნდა შეესაბამებოდეს შესაბამისი წლის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით განსაზღვრულ პარამეტრებს. ბიუჯეტის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ვადაზე გვიან დამტკიცების შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ამ პუნქტში აღნიშნული სახსრებით სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად.

5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში შემავალი შემსყიდველი ორგანიზაციები, აგრეთვე სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური თავდაცვასთან, უშიშროებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებზე, ასევე საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია გეგმასთან დაკავშირებული ნებისმიერი პარამეტრის ცვლილებას ამტკიცებს შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებამდე და არეგისტრირებს ePLAN-ში, დამტკიცებიდან 30 დღის ვადაში.

6. ყოველი შესყიდვის განხორციელების პროცედურების დაწყებამდე (გარდა გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შესყიდვებისა) წლიური გეგმის შესაბამისად შემსყიდველი ორგანიზაცია ატარებს მოსამზადებელ სამუშაოებს. განსახორციელებელი შესყიდვის მოსამზადებელი სამუშაოები ტარდება შესყიდვის ობიექტის მახასიათებლების, სავარაუდო ღირებულების, შესყიდვის განხორციელების საშუალების და დაფინანსების მოცულობის დაზუსტების, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ხელშეკრულების პროექტის მომზადების მიზნით.

6¹. შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს:

- ა) შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა;
- ბ) შესყიდვის ობიექტთა ერთგვაროვნება;
- გ) მსგავსი შესყიდვის განხორციელების გამოცდილება;

დ) შესყიდვის ობიექტის განსაზღვრა (საქონელი, სამუშაო მომსახურება), მათი ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლები როგორცაა: ხარისხი, ფუნქციონირება, უსაფრთხოება, ზომები, შეფუთვა, ნიშანდება და მარკირება, წარმოების მეთოდები და პროცესები, სიმბოლოები, ტერმინოლოგია, შემსყიდველი ორგანიზაციის



მიერ დადგენილი შესაბამისობის მოთხოვნები და ა.შ.), ასევე მიწოდების ვადები და ადგილი;

[დ] შესყიდვის ობიექტის (საქონელი, მომსახურება, სამუშაო) განსაზღვრა; (ამოქმედდეს 2017 წლის 19 ივლისიდან)].

ე) პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით ბაზრის გამოკვლევის შედეგები;

ვ) კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით შესასყიდი შესყიდვის ობიექტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ) შესყიდვის საშუალების შერჩევის საფუძველი, შესყიდვის პროცედურების სავარაუდო ვადები;

თ) მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა, შესასრულებელი სამუშაოს ან გასაწევი მომსახურების მოცულობა არსებული მარაგების გათვალისწინებით;

ი) შესყიდვის ობიექტების სავარაუდო ღირებულება;

კ) შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები;

ლ) გრძელვადიანი ხელშეკრულებებით ან წინა წელს დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებები მიმდინარე წლისათვის;

მ) დასადები ხელშეკრულების შესრულების სავარაუდო ვადები;

ნ) შესყიდვასთან დაკავშირებული სხვა გარემოებები.

7. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების დაზუსტებისას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, ხელშეკრულების მოქმედების სავარაუდო ვადა (მათ შორის, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების შესაძლებლობა), ფასების არსებული დონე, მსგავსი შესყიდვების განხორციელების გამოცდილება. იმ შემთხვევაში, თუ შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება არ აღემატება 500 000 ლარს, ხოლო სამუშაოს სავარაუდო ღირებულება – 1 000 000 ლარს, ფასების არსებული დონის გათვალისწინება ხდება შიდა ბაზრის შესწავლის საფუძველზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება არის 500 000 ლარი ან მეტი ან/და სამუშაოს სავარაუდო ღირებულება – 1 000 000 ლარი ან მეტი – ფასების არსებული დონის გათვალისწინება შესაძლებელია მოხდეს საერთაშორისო ბაზრის შესწავლის საფუძველზე.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 28 თებერვლის ბრძანება № 5 - ვებგვერდი, 28.02.2011 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 21 აგვისტოს ბრძანება №7 - ვებგვერდი, 22.08.2012 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 1 ნოემბრის ბრძანება №13 - ვებგვერდი, 01.11.2012 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 17 იანვრის ბრძანება №2 - ვებგვერდი, 18.01.2013 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 19 თებერვლის ბრძანება №7 - ვებგვერდი, 20.02.2013 წ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის ბრძანება №18 - ვებგვერდი, 30.10.2015 წ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 19 ივნისის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 22.06.2017 წ.

მუხლი 4¹. შესყიდვის ღირებულების დაჯამება შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სავარაუდო ღირებულებასთან

1. საქართველოს საარჩევნო კოდექსის 52-ე მუხლის მე-6 ნაწილისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის (გარდა ამავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა) საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას, მისი ღირებულება არ ჯამდება ამ შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სავარაუდო ღირებულებასთან.

2. სახელმწიფო შესყიდვის კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აგრეთვე ამ მუხლის პირველი პუნქტით გაუთვალისწინებელი სხვა საფუძველით ან/და საშუალებით განხორციელებისას, მისი ღირებულება ჯამდება შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სავარაუდო ღირებულებასთან.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის ბრძანება №18 - ვებგვერდი, 30.10.2015 წ.

მუხლი 5. ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე ანგარიში

1. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამარტივებული შესყიდვის ან კონსოლიდირებული ტენდერის საფუძველზე დადებული ხელშეკრულება, ან ამ ხელშეკრულების ცვლილების (მათ შორის, ხელშეკრულების შეწყვეტის) ამსახველი დოკუმენტის ასლი რეგისტრირდება CMR-ში ხელშეკრულების დადებიდან ან ამ ხელშეკრულების ცვლილებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში. ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის შემთხვევაში, არაუგვიანეს 10 დღის ვადაში, შემსყიდველი ორგანიზაცია ასევე ვალდებულია ატვირთოს ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასახოს საბოლოო ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაცია და მიანიჭოს ხელშეკრულებას შესაბამისი სტატუსი („შესრულებული ხელშეკრულება“ ან „შეუსრულებული ხელშეკრულება“).

[1. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამარტივებული შესყიდვის ან კონსოლიდირებული ტენდერის



საფუძველზე დადებული ხელშეკრულება, ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული დოკუმენტები ამ ხელშეკრულების ცვლილების (მათ შორის, ხელშეკრულების შეწყვეტის) ამსახველი დოკუმენტი რეგისტრირდება CMR-ში, შესაბამისად, ხელშეკრულების დადებიდან ან ამ ხელშეკრულების ცვლილებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში. ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის შემთხვევაში, არაუგვიანეს 10 დღის ვადაში, შემსყიდველი ორგანიზაცია ასევე ვალდებულია, ატვირთოს ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასახოს საბოლოო ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაცია და მიანიჭოს ხელშეკრულებას შესაბამისი სტატუსი („შესრულებული ხელშეკრულება“ ან „შეუსრულებელი ხელშეკრულება“). (ამოქმედდეს 2017 წლის 19 ივლისიდან)].

1¹. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“-ს, და „ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებით გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში, ხელშეკრულების CMR მოდულში ატვირთვისას შემსყიდველმა ორგანიზაციამ დამატებით უნდა მიუთითოს მისი მომართვის სისტემის SMP მოდულში რეგისტრაციის ნომერი.

2. ის შემსყიდველი ორგანიზაცია, რომლის შესყიდვების წლიური გეგმის სავარაუდო ჯამური ღირებულება 50 000 ლარზე ნაკლებია, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას CMR-ში განათავსებს არაუგვიანეს ყოველი მომდევნო წლის 30 იანვრისა.

3. თუ გეგმის ჯამური სავარაუდო ღირებულება გაიზრდება ერთი საფინანსო წლის განმავლობაში და შეადგენს ან აღემატება 50 000 ლარს, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია CMR-ში დაარეგისტროს ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე ანგარიში, ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად (მათ შორის, აღნიშნული გარემოების დადგომამდე დადებული ხელშეკრულებების/მასთან გათანაბრებული დოკუმენტების ასლები). იმ შემთხვევაში, თუ ამ პუნქტით გათვალისწინებული გარემოება დადგება საფინანსო წლის IV კვარტალში, შემსყიდველი ორგანიზაცია ასეთ ინფორმაციას არეგისტრირებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში.

4. კონკურსის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან/და ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დადებული ხელშეკრულება, ან ამ ხელშეკრულების ცვლილების (მათ შორის, ხელშეკრულების შეწყვეტის) ამსახველი დოკუმენტის სააგენტოსათვის წარდგენად ჩაითვლება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების ან ამ ხელშეკრულების ცვლილების ამსახველი დოკუმენტის სისტემის შესაბამის ველში ატვირთვა, რაც უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების დადებიდან ან ამ ხელშეკრულების ცვლილებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში. შემსყიდველი ორგანიზაცია ასევე ვალდებულია ატვირთოს ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასახოს საბოლოო ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაცია და მიანიჭოს ხელშეკრულებას შესაბამისი სტატუსი („შესრულებული ხელშეკრულება“ ან „შეუსრულებელი ხელშეკრულება“).

[4. კონკურსის ან ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დადებული ხელშეკრულება, ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული დოკუმენტები ამ ხელშეკრულების ცვლილების (მათ შორის, ხელშეკრულების შეწყვეტის) ამსახველი დოკუმენტის სააგენტოსათვის წარდგენად ჩაითვლება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ, შესაბამისად, ხელშეკრულების ან ამ ხელშეკრულების ცვლილების ამსახველი დოკუმენტის სისტემის შესაბამის ველში ატვირთვა, რაც უნდა განხორციელდეს, შესაბამისად, ხელშეკრულების დადებიდან ან ამ ხელშეკრულების ცვლილებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში. ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის შემთხვევაში, არაუგვიანეს 10 დღის ვადაში, შემსყიდველი ორგანიზაცია ასევე ვალდებულია ატვირთოს ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასახოს საბოლოო ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაცია და მიანიჭოს ხელშეკრულებას შესაბამისი სტატუსი („შესრულებული ხელშეკრულება“ ან „შეუსრულებელი ხელშეკრულება“). (ამოქმედდეს 2017 წლის 19 ივლისიდან)].

[4¹. ხელშეკრულების ეტაპობრივი შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია, შესაბამისად, სისტემის ან CMR-ის შესაბამის ველში ტვირთავს ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას და ასახავს ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაციას (არსებობის შემთხვევაში) ხელშეკრულების კონკრეტული ეტაპის შესრულებიდან/შეუსრულებლობიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში. (ამოქმედდეს 2017 წლის 19 ივლისიდან)].

5. კონკურსის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან/და ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ სააგენტოსათვის ანგარიშის წარდგენის მიზნით, შემსყიდველი ორგანიზაცია სისტემაში ტვირთავს საკონკურსო/სატენდერო კომისიის სხდომის ოქმებს, კონკურსთან, გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან ან/და ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებულ დოკუმენტებს და კონკურსში/ტენდერში მონაწილე ექსპერტებისა და კონსულტანტების (მათი არსებობის შემთხვევაში) დასკვნებს. სისტემაში მითითებული დოკუმენტები იტვირთება საკონკურსო/სატენდერო კომისიის შესაბამის სხდომის ოქმთან ერთად, მისი



ხელმოწერისთანავე.

5. კონკურსისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ სააგენტოსათვის ანგარიშის წარდგენის მიზნით, შემსყიდველი ორგანიზაცია სისტემაში ტვირთავს საკონკურსო/სატენდერო კომისიის სხდომის ოქმებს, კონკურსთან და ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებულ დოკუმენტებს, კონკურსში/ტენდერში მონაწილე ექსპერტებისა და კონსულტანტების (მათი არსებობის შემთხვევაში) დასკვნებს, ასევე შესაბამისი კანონქვემდებარე აქტით განსაზღვრულ სხვა დოკუმენტებს/ინფორმაციას. სისტემაში მითითებული დოკუმენტები იტვირთება საკონკურსო/სატენდერო კომისიის შესაბამის სხდომის ოქმთან ერთად, მისი ხელმოწერისთანავე. (ამოქმედდეს 2017 წლის 19 ივლისიდან).

6. ამ მუხლით გათვალისწინებული ანგარიშგების წესი არ ვრცელდება კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებზე. კანონის ამ ნორმის შესაბამისად ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია სააგენტოს სისტემის მეშვეობით წარუდგენს ამ შესყიდვასთან დაკავშირებულ ინფორმაციას იმავე ენაზე, რა ენაზეც წარმოებდა პროცედურა შესაბამისი ხელშეკრულების დადებიდან 30 დღის განმავლობაში.

7. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს შესყიდვასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის შენახვა შესაბამისი პროცედურის დასრულებიდან 6 წლის განმავლობაში, ხოლო გრძელვადიანი (ორი წელი და მეტი) ხელშეკრულების დადების შემთხვევაში – ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 11 აპრილის ბრძანება №11 - ვებგვერდი, 14.04.2011 წ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 13 ივნისის ბრძანება №14 - ვებგვერდი, 16.06.2011 წ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 9 დეკემბრის ბრძანება №21 - ვებგვერდი, 09.12.2011 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 16 მარტის ბრძანება №1 - ვებგვერდი, 16.03.2012 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 1 ნოემბრის ბრძანება №13 - ვებგვერდი, 01.11.2012 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 17 იანვრის ბრძანება №2 - ვებგვერდი, 18.01.2013 წ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 2 ივლისის ბრძანება №10 - ვებგვერდი, 03.07.2015 წ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის ბრძანება №18 - ვებგვერდი, 30.10.2015 წ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 19 ივნისის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 22.06.2017 წ.

მუხლი 5¹. ანგარიშსწორება უწყვეტი მომსახურების სახელმწიფო შესყიდვისას

ნავთობპროდუქციის (საწვავის) საბარათე სისტემით სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში ყოველი წლის დეკემბრის თვის საჭირო მოცულობის საწვავის მიწოდების უწყვეტ მომსახურებასთან დაკავშირებული ანგარიშსწორება ხორციელდება უწყვეტი მომსახურების (მაგ. მობილური კავშირის მომსახურება, ინტერნეტის მომსახურება, დაცვის მომსახურება) სახელმწიფო შესყიდვისას ანგარიშსწორების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 27 ნოემბრის ბრძანება №16 - ვებგვერდი, 27.11.2013 წ.

მუხლი 6. გარდამავალი დებულებები

1. 2010 წლის მე-4 კვარტალის ანგარიში შესაძლებელია წარდგენილ იქნეს სააგენტოში სისტემის გამოყენების გარეშე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის №1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულებით დამტკიცებული დანართი №4-ის და დანართი №4-ის შევსების ინსტრუქციის შესაბამისად.

2. 2011 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით დადებული ხელშეკრულების/მასთან გათანაბრებული დოკუმენტის (მათ შორის ცვლილების განხორციელების და შეწყვეტის ამსახველი დოკუმენტის) ასლი, გარდა იმ ხელშეკრულებისა, რომელიც დაიდო ელექტრონული ტენდერის ან გამარტივებული ტენდერის შედეგად, სააგენტოს წარედგინება სისტემის შესაბამისი მოდულის მეშვეობით არა უგვიანეს 2012 წლის 31 მარტისა.

3. 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 16 მარტის ჩათვლით დადებული ხელშეკრულების/მასთან გათანაბრებული დოკუმენტის (მათ შორის, ცვლილების განხორციელების და შეწყვეტის ამსახველი დოკუმენტის) ასლი, გარდა იმ ხელშეკრულებისა, რომელიც დაიდო ელექტრონული ტენდერის ან გამარტივებული ტენდერის შედეგად, სააგენტოს წარედგინება სისტემის შესაბამისი მოდულის მეშვეობით არა უგვიანეს 2012 წლის 30 აპრილისა.

4. შემსყიდველმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ გეგმების რეგისტრაცია ePLAN-ში ამ წესის მიხედვით, არა უგვიანეს 2013 წლის 15 თებერვლისა.

5. 2015 წლის 1 ივლისამდე სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით გამოცხადებული კონკურსების საფუძველზე დადებული ხელშეკრულებების შესახებ ანგარიშგება მიმდინარეობს ამ წესის მე-5 მუხლის



პირველი – მე-3 პუნქტების შესაბამისად.

[6. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, 2017 წლის 19 ივლისიდან შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვ(ებ)ის განხორციელებამდე, შეცვალოს სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა და გეგმაში მითითებული, 2017 წლის 19 ივლისიდან განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაცია შეუსაბამოს კანონსა და შესაბამის კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში 2017 წლის 19 ივლისიდან ამოქმედებულ ცვლილებებს სახელმწიფო შესყიდვის საშუალებებთან და მონეტარულ ზღვრებთან დაკავშირებით. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმაში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვ(ებ)ის განხორციელებამდე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ აგრეთვე უნდა დააკორექტიროს ePLAN-ში მითითებული მონაცემები.

(ამოქმედდეს 2017 წლის 19 ივლისიდან).

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 16 მარტის ბრძანება №1 - ვებგვერდი, 16.03.2012 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 17 იანვრის ბრძანება №2 - ვებგვერდი, 18.01.2013 წ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 2 ივლისის ბრძანება №10 - ვებგვერდი, 03.07.2015 წ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 19 ივნისის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 22.06.2017 წ.

დანართი №1 (ამოღებულია)

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 17 იანვრის ბრძანება №2 - ვებგვერდი, 18.01.2013 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 19 თებერვლის ბრძანება №7 - ვებგვერდი, 20.02.2013 წ.

დანართი № 2 (ამოღებულია)

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 11 აპრილის ბრძანება №11 - ვებგვერდი, 14.04.2011 წ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 13 ივნისის ბრძანება №14 - ვებგვერდი, 16.06.2011 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 16 მარტის ბრძანება №1 - ვებგვერდი, 16.03.2012 წ.

დანართი №3 (ამოღებულია)

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 11 აპრილის ბრძანება №11 - ვებგვერდი, 14.04.2011 წ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 13 ივნისის ბრძანება №14 - ვებგვერდი, 16.06.2011 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 16 მარტის ბრძანება №1 - ვებგვერდი, 16.03.2012 წ.

დანართი №4 (ამოღებულია)

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 11 აპრილის ბრძანება №11 - ვებგვერდი, 14.04.2011 წ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 13 ივნისის ბრძანება №14 - ვებგვერდი, 16.06.2011 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 16 მარტის ბრძანება №1 - ვებგვერდი, 16.03.2012 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 17 იანვრის ბრძანება №2 - ვებგვერდი, 18.01.2013 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 19 თებერვლის ბრძანება №7 - ვებგვერდი, 20.02.2013 წ.

